



## საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი

### მუხლი 1. სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტი

1. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში მოქმედი სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.
2. სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი.
3. სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია).
4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.
5. სამაგისტრო ნაშრომი არის სტუდენტის ორიგინალური კვლევა/ნაშრომი; პასუხისმგებლობა მისი შესრულების ხარისხზე ეკისრება სტუდენტს.
6. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროექტში და ნაშრომში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ჩიკაგოს (Chicago Style) ან აპას (Apa Style) სტილის მიხედვით.

### მუხლი 2. დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევით კომპონენტის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებსაც სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებულ

პირობებს აკმაყოფილებენ და სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე დააგროვებენ შესაბამის კრედიტებს ყველა სავალდებულო საგანში.<sup>1</sup>

### **მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის რეგისტრაცია**

1. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან/კოორდინატორთან.
2. სამაგისტრო ხელმძღვანელის შერჩევა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სწავლების მეოთხე სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში.
3. სამაგისტრო თემის შერჩევა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ თემის ხელმძღვანელის შერჩევიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში.
4. ნაშრომი და მისი სათაური ხელმძღვანელთან შეთანხმებით შესაძლოა შეიცვალოს შემდგომი მუშაობის პერიოდში.
5. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაციის შემდეგ მაგისტრანტი იწყებს დამოუკიდებლად სამაგისტრო კვლევის პროექტზე/პროსპექტუსზე მუშაობას.

### **მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის თემის გადატანა**

სტუდენტს უფლება აქვს პირადი განცხადების საფუძველზე გადაიტანოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული წესით.<sup>2</sup>

### **მუხლი 5. მაგისტრანტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი**

1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობაა მისცეს სტუდენტს მიმართულება და რჩევები ნაშრომის გასაუმჯობესებლად. ხელმძღვანელი კონტროლს უწევს მაგისტრანტის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებას.

<sup>1</sup> საჯარო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო პოლიტიკის, გარემოს დაცვის პოლიტიკის და მენეჯმენტის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, გამოყენებითი ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ 90 კრედიტის დაგროვება;

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისათვის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ 105 კრედიტის დაგროვება;

მულტი-მედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის და მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისათვის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ 95 კრედიტის დაგროვება.

<sup>2</sup> სტუდენტს უფლება აქვს პირადი განცხადების საფუძველზე გადაიტანოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მომდევნო აკადემიური წლისათვის, რა შემთხვევაშიც იგი ვალდებულია გადაიხადოს სამაგისტრო ნაშრომის გადატანის საფასური 500 ლარის ოდენობით. დოკუმენტალურად დადასტურებული საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში ის თავისუფლდება დიპლომის გადატანის საფასურის გადახდისგან.

3. საჭიროების შემთხვევაში მაგისტრანტს შეიძლება ყავდეს კონსულტანტი, რომელიც არის დარგის ექსპერტი ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი და აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული შესაბამისი გამოცდილება/ცოდნა, რომელსაც იგი შეარჩევს ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორთან შეთანხმებით.

4. აღნიშნულ შემთხვევაში კონსულტანტი იდენტიფიცირდება, როგორც სამაგისტრო ნაშრომის თანახემდღვანელი.

5. ერთმა პიროვნებამ შესაძლოა ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს ხუთ სამაგისტრო ნაშრომს. თუმცა, თანახემდღვანელობის შემთხვევაში დაშვებულია არაუმეტეს რვა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

## მუხლი 6. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

1. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

2. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაციიდან არაუმეტეს 49 კალენდარული დღის განმავლობაში, დასრულებული სამაგისტრო კვლევის პროექტს მაგისტრანტი წარუდგენს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს.

3. წარდგენილ სამაგისტრო კვლევის პროექტს თან უნდა ერთოდეს თემის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო კვლევის პროექტს და პროექტი/პროსპექტუსი მზად არის დასამტკიცებლად.

4. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 8 და არაუმეტეს 10 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის ნაშრომის ძირითადი ტექსტის-თვის ინტერვალი არის 1.5. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 25 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 15 მმ. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე.

3. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი უნდა მოიცავდეს:<sup>3</sup>

ა. შესავალს (ზოგად დახასიათებას, სიახლეს, აქტუალობას, პროექტის მიზნებს);

ბ. ძირითად საკითხებსა და სავარაუდო სტრუქტურას;

გ. ბიბლიოგრაფიას (პირველწყაროების, სამეცნიერო და სხვა ლიტერატურის მიმოხილვას).

4. სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის საჯარო პრეზენტაცია წარმოებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისიის წინაშე, სამაგისტრო პროექტის/პროსპექტუსის წარდგენიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში. კომისიაში უნდა მონაწილეობდეს სამაგისტრო

<sup>3</sup> კონკრეტული მოთხოვნები სამაგისტრო პროგრამების მიხედვით იხილეთ შესაბამის დანართებში (იხ. დანართი 1, 2, 3, 4)

პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი, ასევე მიმართულების/დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები.

5. მაგისტრანტი პრეზენტაციაზე წარმოადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ სამაგისტრო კვლევის პროექტს, ელექტრონული პრეზენტაციის გამოყენებით მოახდენს მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას და უპასუხებს კომისიის წევრთა დასმულ შეკითხვებს.

6. კომისია ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს მაგისტრანტის სამაგისტრო კვლევის პროექტს, რომლის შემდეგ მაგისტრანტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს ეძლევა სამაგისტრო კვლევის პროექტზე დამატებითი მუშაობის უფლება 7 კალენდარული დღის ვადით.

7. სამაგისტრო პროექტის/პროსპექტუსის დამატებითი ვადის გამოუყენებლობის, გამოუცხადებლობის ან გადამუშავებული ვერსიის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობაზე დაიშვება მხოლოდ მომდევნო სემესტრში.

## **მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომი**

1. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.

2. სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები (დეტალური სტრუქტურა, მოცულობა, ფორმატი, სტილი, შეფასების კრიტერიუმები და სხვა ტექნიკური მონაცემები) განისაზღვრება წინამდებარე წესის შესაბამის დანართებში პროგრამების მიხედვით (იხ. დანართი 1, 2, 3, 4).

## **მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა**

1. მაგისტრანტი სკოლის ადმინისტრაციას წარუდგენს სამაგისტრო ნაშრომის ორ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (Microsoft Word და PDF ფორმატში), მეოთხე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს 22-ე სასწავლო კვირისა).

2. სამაგისტრო ნაშრომთან ერთად მაგისტრანტმა პროგრამის ხელმძღვანელს უნდა წარუდგინოს მაგისტრანტის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო ნაშრომს და ნაშრომი მზად არის დასკვნით შეფასებაზე წარსადგენად.

## **მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება**

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღისა და კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით გადაწყვეტილებას, იღებს სკოლის დეკანი.

2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შეიძლება დაინიშნოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24-ე სასწავლო კვირისა.

3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში სკოლა უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის ეგზემპლარების გადაცემას კომისიის წევრებისათვის.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისი მეცნიერების დარგის 5 წევრისაგან.
5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი შეიძლება იყოს, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირი. კომისიაში ასევე მონაწილეობს მაგისტრანტის ხელმძღვანელი (ხმის უფლების გარეშე).
6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული, სკოლის დეკანის მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე.

### **მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა**

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა წარმოებს საჯაროდ, რომლის მსვლელობისას მაგისტრანტი წარმოაჩენს განხორციელებული მუშაობის შედეგებს.
2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი მაინც.
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესს სასურველია ესწრებოდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება კომისიის სხდომას ის ატყობინებს პროგრამის ხელმძღვანელს წინასწარ.
4. თუ მაგისტრანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, ან კომისიის ქვორუმი არ შედგა, ან სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არ შედგა მაგისტრანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სკოლის ადმინისტრაციის მიერ დაინიშნება სამაგისტრო ნაშრომის დამატებითი დაცვა იმავე სემესტრში.
5. დაცვაზე თითოეული მაგისტრანტი გამოიცდება ინდივიდუალურად. ამასთან, დაცვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.
6. დაცვის პროცესი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის შედეგების პრეზენტაციას და კითხვა-პასუხს/დისკუსიას.
7. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციისას მაგისტრანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
8. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება დისკუსია, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. მაგისტრანტი პასუხობს კომისიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს.
9. დისკუსიის შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებლად კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე.

### **მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**

1. სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებლად შექმნილი კომისიის მიერ ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

3. სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.
4. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები განისაზღვრება წინამდებარე წესის შესაბამის დაწარმებში პროგრამების მიხედვით (იხ. დანართი 1, 2, 3, 4).
5. ზეპირი დაცვის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით, რომელსაც კომისიის წევრები განსაზღვრავენ ინდივიდუალურად (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
6. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
7. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
  - ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
  - ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
  - გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
  - დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
  - ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
8. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:
  - ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
  - ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
9. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
10. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების საფუძვლებია:
  - ა) საჯარო დაცვაზე არასაკმატო მიზეზით გამოუცხადებლობა;
  - ბ) საჯარო დაცვაზე გამოცხადების შემდგომ უარის თქმა მის დაცვაზე;
  - გ) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა;
  - დ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით ან სხვა დაუშვებელი ხერხებით.

## **მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის დადებითი შეფასების შედეგები**

1. სამაგისტრო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც დადასტურებული იქნება მისთვის მაგისტრის დიპლომის გაცემით.
2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა უნივერსიტეტის მიერ. დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება მოხდება უნივერსიტეტში დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დიპლომს ხელს აწერს შესაბამისი სკოლის დეკანი და უნივერსიტეტის რექტორი.

## დანართი 1.

*საჯარო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო პოლიტიკის, გარემოს დაცვის პოლიტიკის და მენეჯმენტის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, გამოყენებითი ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამების მოთხოვნები*

### სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. ტიტულის გვერდი;
- ბ. საავტორო უფლების გვერდი;
- გ. შინაარსი:
- გ.ა. კვლევის მნიშვნელობის დასაბუთება;
- გ.ბ. ლიტერატურის მიმოხილვა;
- გ.გ. კვლევის შეკითხვა/მიზანი/ჰიპოთეზა;
- გ.დ. კვლევის გეგმა;
- გ.ე. კვლევის ტექნიკური აღწერა (არასავალდებულო კომპონენტი);
- გ.ვ. ნაშრომის გრაფიკი;
- გ.ე. წინასწარი ბიბლიოგრაფია.

### სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. სატიტულო გვერდი;
- ბ. რეზიუმე/აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- გ. სარჩევი;
- დ. ტერმინთა განმარტება; აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში);
- ე. ძირითადი ტექსტი:
- ე.ა. შესავალი;
- ე.ბ. ლიტერატურის მიმოხილვა;
- ე.გ. კვლევის შეკითხვა/მიზანი/ჰიპოთეზა;
- ე.დ. კვლევის ტექნიკური აღწერა (არასავალდებულო კომპონენტი);
- ე.ე. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი;
- ე.ვ. კვლევის შეზღუდვები;
- ე.ზ. დასკვნა;
- ვ. ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- ზ. დანართები.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:** სამაგისტრო ნაშრომს აფასებს რეცენზენტი და კომისიის წევრები. ხვედრითი წონები გადანაწილებულია შემდეგნაირად - 50% რეცენზენტის შეფასება, 50% კომისიის წევრების საშუალო არითმეტიკული. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე სადიპლომო ნაშრომის რეცენზიას აწვდის პროგრამის კოორდინატორს, რომელიც დოკუმენტს უგზავნის სტუდენტს და სხვა კომისიის წევრებს გასაცნობად.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ფორმა:**

შეფასების კრიტერიუმი	შემფასებლის კომენტარი	ქულა
<b>ფოკუსი (20%)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>ნაშრომის ყველა ნაწილი კავშირშია კვლევის შეკითხვასთან</li> </ul>		
<b>კვლევა (20%)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>მეთოდოლოგია</li> <li>შესრულების ხარისხი</li> </ul>		
<b>ლიტერატურა (15%)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>გამოყენებული ლიტერატურის რელევანტურობა</li> <li>კრიტიკული ანალიზი</li> </ul>		
<b>არგუმენტაცია (15%)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>არგუმენტაციის უნარი</li> <li>კრიტიკული აზროვნების უნარი</li> <li>დასაბუთება</li> <li>დასკვნები</li> </ul>		
<b>ინფორმაციის, მონაცემების პრეზენტაცია (20%)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>აკადემიური წერის უნარი</li> <li>სტრუქტურა და თანმიმდევრულობა</li> <li>აზრის, ინფორმაციის გადმოცემის უნარი</li> </ul>		



<p><b>ზეპირი პრეზენტაცია (10%)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზეპირი სახით ინფორმაციის გადმოცემის უნარი</li> <li>• იმპროვიზაციის, არგუმენტირების უნარი</li> </ul>		
---	--	--

### შეფასების ქულების განაწილება

**91-100%** - ნაშრომის ფოკუსი და სტრუქტურა ზუსტად არის ჩაშლილი, დაცულია ფორმატი; აზრი გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი იყენებს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს კვლევა, კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები და ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**81-90%** - ნაშრომის ფოკუსი და სტრუქტურა უმეტესად მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, დაცულია ფორმატი; აზრი უმეტესად გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და უმეტესად შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი უმეტესად ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები უმეტესად თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები და უმეტეს შემთხვევაში ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**71-80%** - ნაშრომის ფოკუსის და სტრუქტურის ნაწილი მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, თუმცა აკლია კონკრეტული კომპონენტები; დაცულია ფორმატი; დამაკმაყოფილებლად შესრულებულ ნაწილში აზრი უმეტესად გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და დამაკმაყოფილებელია მისი შესაბამისობა საკვლევ თემატიკასთან; სტუდენტი ნაწილობრივ ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ნაწილობრივ თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა; უმეტეს შემთხვევაში სტუდენტი ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**61-70%** - ნაშრომის ფოკუსი და სტრუქტურა მეტნაკლებად მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, თუმცა აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები; ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა აკადემიურია და მეტნაკლებად შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი ავლენს პროგრამის მიღებული თეორიული ცოდნის საშუალო დონეზე ფლობას; მეტნაკლებად ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი; კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები მეტნაკლებად თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან, თუმცა აშკარაა, რომ აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტების სიღრმისეული გააზრება; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა/არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტი მეტნაკლებად ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**51-60%** - ნაშრომის ფოკუსსა და სტრუქტურას აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები, ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა ნაკლებად აკადემიურია და ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის დაბალ დონეზე ფლობას; ნაწილობრივ ჩანს კვლევის კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, თუმცა ნაშრომში უმეტესად მოცემულია მშრალი ფაქტები; კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები იმეორებს ნაშრომის სხვადასხვა კომპონენტებს და აკლია გააზრება და ანალიზი; კვლევის მიგნებები არ არის სრულად ჩამოყალიბებული; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტები სუსტია, აკლია დამაჯერებლობა/არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტი მეტნაკლებად ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**41-50%** - ნაშრომის ფოკუსსა და სტრუქტურას აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები, ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტული და ბუნდოვანია, არ არის მოთხოვნის ადეკვატური; ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა არა აკადემიურია და უმეტესად არ შეესაბამება საკვლევ თემატიკას; სტუდენტი არ ავლენს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; არ კვლევის კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის მიგნებები და შემუშავებული რეკომენდაციები არაადეკვატურია მოცემულ ინფორმაციასთან მიმართებით; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტები სუსტია და არადამაჯერებელია/ არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტს არ გააჩნია იმპროვიზაციის უნარს;

**0-40%** - ნაშრომი არ არის წარმოდგენილი ან სრულიად შეუსაბამოა მოთხოვნებთან.

**ბიზნეს ადმინისტრირების სამასგისტრო პროგრამის მოთხოვნები**

**სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსის/პროექტის სტრუქტურა:**

სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. ტიტულის გვერდი;
- ბ. საავტორო უფლების გვერდი;
- გ. შინაარსი:
  - გ.ა. არჩეული ბიზნესის შესახებ მოკლე ინფორმაცია (100-250 სიტყვა)
  - გ.ბ. თემის აქტუალობა - დასაბუთება, თუ რატომ არის აღნიშნული ბიზნესი საინტერესო;
  - გ.გ. ნაშრომის სტრუქტურა - ბიზნეს დოკუმენტის სარჩევი;
  - გ.დ. ნაშრომის თითოეული პუნქტის/ელემენტის მნიშვნელობის დასაბუთება და მოკლე მიმოხილვა (80-150 სიტყვა);
  - გ.ე. დროითი ჰორიზონტი - ანუ რა პერიოდს მოიცავს ბიზნეს გეგმა და რატომ;
  - გ.ვ. ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა და აღწერა - მაგისტრანტის მიერ დაგეგმილი გამოსაყენებელი ინსტრუმენტების განხილვა (150-250 სიტყვა);
- დ. ნაშრომის გრაფიკი;
- ე. წინასწარი ბიბლიოგრაფია.

**სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:**

სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. სატიტულო გვერდი;
- ბ. რეზიუმე/აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე (80-150 სიტყვა);
- გ. სარჩევი;
- დ. ტერმინთა განმარტება; აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში);
- ე. ნაშრომის მიმოხილვა - ე.წ. „Executive Summary“ (400-450 სიტყვა - მაქსიმუმ 2 გვერდი);
- ე.ა. გეგმის მიზანი და თემის აქტუალობა - დასაბუთება, თუ რატომ არის აღნიშნული ბიზნესი საინტერესო;
- ე.ბ. „კომპანია დღეს“ და მისი დღევანდელი ღირებულება;
- ე.გ. არჩეული კომპანიის დარგის ანალიზი და განვითარების პერსპექტივები;
- ე.დ. კომპანიის განვითარების სტრატეგია;
- ე.ე. ბიზნესის ღირებულების ზრდის ინიციატივები (გეგმა-გრაფიკის, პასუხისმგებელი პირებისა<sup>4</sup> და შედეგების ჩათვლით);
- ე.ვ. ფინანსური გეგმა - ღირებულების ზრდა;
- ე.ზ. ბიზნესიდან გასვლის გეგმა.

<sup>4</sup> არ არის საჭირო სახელებისა და გვარების მითითება, საკმარისია თანამდებობა

ე.თ. დასკვნა;

ვ. ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;

ზ. დანართები.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:** სამაგისტრო ნაშრომს აფასებს რეცენზენტი და კომისიის წევრები. ხვედრითი წონები გადანაწილებულია შემდეგნაირად - 40% რეცენზენტის შეფასება, 60% კომისიის წევრების საშუალო არითმეტიკული.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ფორმა:**

შეფასების კრიტერიუმი	შემფასებლის კომენტარი	ქულა
<b>გაფორმება (10%)</b> <ul style="list-style-type: none"><li>• ნაშრომის ყველა ნაწილი კავშირშია იდეასთან</li><li>• ფორმატი დაცულია</li><li>• ნაშრომი ორიგინალურია</li><li>• ნაშრომი ინოვაციურია</li></ul>		
<b>შინაარსი (30%)</b> <ul style="list-style-type: none"><li>• ნაშრომი მეთოდოლოგიურად სწორად არის აწყობილი</li><li>• ნაშრომის შინაარსი აკადემიურად არის წარმოდგენილი</li></ul>		
<b>სტრუქტურა (30%)</b> <ul style="list-style-type: none"><li>• პროექტის სტრუქტურა</li><li>• სტრატეგიის სიძლიერე</li><li>• რისკების შეფასება</li><li>• უკუგების შეფასება</li><li>• მართვის ინსტრუმენტების გამოყენება</li><li>• თანმიმდევრულობა</li><li>• შედეგების მიმოხილვა</li></ul>		
<b>რეალობა (10%)</b> <ul style="list-style-type: none"><li>• კრიტიკული აზროვნების</li></ul>		

<p>უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიზნესის და დარგის კვლევა და ანალიზი</li> <li>• ბიზნეს გამჭრიახობა</li> <li>• დასაბუთება</li> <li>• დასკვნები</li> </ul>		
<p><b>პრეზენტაცია (20%)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზეპირი სახით ინფორმაციის გადმოცემის უნარი</li> <li>• იმპროვიზაციის, არგუმენტირების უნარი</li> <li>• დამაჯერებლობა</li> <li>• პრეზენტაციის ვიზუალი</li> </ul>		
<p><b>საბოლოო ქულა</b></p>		

**შეფასების ქულების განაწილება:**

**91-100%** - ნაშრომის სტრუქტურა მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, დაცულია ფორმატი; აზრი გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; სტუდენტი იყენებს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს ბიზნეს პროცესების კვლევა, კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები და ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**81-90%** - ნაშრომის სტრუქტურა უმეტესად მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, დაცულია ფორმატი; აზრი უმეტესად გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; სტუდენტი უმეტესად ავლენს მოდულის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს ბიზნეს პროცესების კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები უმეტესად თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები და უმეტეს შემთხვევაში ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**71-80%** - ნაშრომის სტრუქტურის ნაწილი მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, თუმცა აკლია კონკრეტული კომპონენტები; დაცულია ფორმატი; დამაკმაყოფილებლად შესრულებულ ნაწილში აზრი უმეტესად გამართულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; სტუდენტი ნაწილობრივ ავლენს მოდულის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; ჩანს ბიზნეს პროცესების კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ნაწილობრივ თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან; პრეზენტაციის

შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა; უმეტეს შემთხვევაში სტუდენტი ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**61-70%** - ნაშრომის სტრუქტურა მეტნაკლებად მკაფიოდ და ზუსტად არის ჩაშლილი, თუმცა აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები; ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; სტუდენტი ავლენს მოდულის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის საშუალო დონეზე ფლობას; მეტნაკლებად ჩანს ბიზნეს პროცესების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი; კვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მეტნაკლებად თანხვედრაშია დასკვნასა და კვლევის მიგნებებთან, თუმცა აშკარაა, რომ აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტების სიღრმისეული გააზრება; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა/არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტი მეტნაკლებად ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**51-60%** - ნაშრომის სტრუქტურას აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები, ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტულად არის გადმოცემული როგორც წერილობით, ასევე, ზეპირად; სტუდენტი ავლენს მოდულის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის დაბალ დონეზე ფლობას; ნაწილობრივ ჩანს ბიზნეს პროცესების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი, თუმცა ნაშრომში უმეტესად მოცემულია მშრალი ფაქტები; კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები იმეორებს პროცესების აღწერას და აკლია გააზრება და ანალიზი; კვლევის მიგნებები არ არის სრულად ჩამოყალიბებული; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტები სუსტია, აკლია დამაჯერებლობა/არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტი მეტნაკლებად ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**41-50%** - ნაშრომის სტრუქტურას აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები, ფორმატი ნაწილობრივ დარღვეულია; აზრი ფრაგმენტული და ბუნდოვანია, არ არის მოთხოვნის ადეკვატური; სტუდენტი არ ავლენს მოდულის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას; არ ჩანს ბიზნეს პროცესების კრიტიკული ანალიზი და შეფასება; კვლევის მიგნებები და შემუშავებული რეკომენდაციები არაადეკვატურია მოცემულ ინფორმაციასთან მიმართებით; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტები სუსტი და არადაამაჯერებელია/ არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტს არ გააჩნია იმპროვიზაციის უნარს;

**0-40%** - ნაშრომი არ არის წარმოდგენილი ან სრულიად შეუსაბამოა მოთხოვნებთან.

მულტიმედია ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები

სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსის/პროექტის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. ტიტულის გვერდი;
- ბ. საავტორო უფლების გვერდი;
- გ. შინაარსი:
  - გ.ა. სამაგისტრო პროექტის ფარგლებში შესაქმნელი პორტფოლიოს კონცეფციის და მასში შემავალი ნამუშევრების (როგორც ძველი ისე დამატებითი ახალი კომპონენტის) დეტალურად განხილვა;
  - გ.ბ. თემის აქტუალობა - დასაბუთება, თუ რატომ არის აღნიშნული ნამუშევრები საინტერესო;
  - გ.გ. ნაშრომის თითოეული ელემენტის მნიშვნელობის დასაბუთება და მოკლე მიმოხილვა (80-150 სიტყვა);
  - გ.დ. ყველა იმ ტექნოლოგიის ვრცლად აღწერა, რომელიც გამოყენებულია პორტფოლიოს და მასში შემავალი ნამუშევრების შექმნის პროცესში;
  - გ.ე. ჩასატარებელი სამუშაოების გეგმა და აღწერა
- დ. ნაშრომის გრაფიკი;
- ე. წინასწარი ბიბლიოგრაფია.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. სატიტულო გვერდი;
- ბ. რეზიუმე/აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე (80-150 სიტყვა);
- გ. სარჩევი;
- დ. ტერმინთა განმარტება; აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში);
- ვ. პორტფოლიოს კონცეფცია და მინიმუმ ოთხი პრაქტიკული ნამუშევარი, რომელიც უნდა იყოს:
  - ვ.ა რეპორტაჟი - სიღრმისეული სტატია/კვლევა;
  - ვ.ბ. ფოტო - ამბავი (ანოტაციებით)
  - ვ.გ. ვიდეო რეპორტაჟი ან მოკლე დოკუმენტური ფილმი
  - ვ.ვ. აუდიო ისტორია
- ზ. პორტფოლიოს ახალი (ან გაუმჯობესებული), მეხუთე ნამუშევარი, რომელიც შეიძლება იყოს:
  - ზ.ა. სიღრმისეული სტატია/კვლევა
  - ზ.ბ. ფოტო ისტორია (ანოტაციებით)
  - ზ.გ. სიღრმისეული ვიდეო რეპორტაჟი ან მოკლე დოკუმენტური ფილმი

- ზ.დ. სიღრმისეული რადიო რეპორტაჟი
- ზ.ვ. მედია სტარტაპის ბიზნეს გეგმა
- კ. დასკვნა;
- ლ. ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- მ. დანართები.

პორტფოლიოს ყველა კომპონენტი, როგორც პრაქტიკული ჟურნალისტური ნამუშევარი ისე მედია სტარტაპის ბიზნეს გეგმა უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო პროექტის კრიტერიუმებს.

დამატებითი (მეხუთე) პრაქტიკული კომპონენტის კრიტერიუმები:

1. სიღრმისეული სტატია - 2000-3000 სიტყვა /10-12 წყარო დოკუმენტების ჩათვლით;
2. სიღრმისეული ვიდეო რეპორტაჟი - 7-10 წუთიანი რეპორტაჟი მიმდინარე აქტუალურ, მწვავე თემებზე ან მოკლე დოკუმენტური ფილმი - 15-30 წთ, გამორჩეული შემოქმედებითი მიდგომით მოთხრობილი ვიზუალური ისტორია.
3. სიღრმისეული რადიო რეპორტაჟი - 7-10 წუთიანი რეპორტაჟი მიმდინარე აქტუალურ, მწვავე თემებზე.
4. ფოტო ისტორია (20-35 ფოტო) მცირე ტექსტებით (ანოტაციებით);
5. მედია მენეჯმენტის პროექტი - სტარტ აპის ბიზნეს გეგმა - 3000 – 4000 სიტყვა.

პორტფოლიოს კომპონენტის კრიტერიუმები:

ვებ სივრცეში აწყობილ პორტფოლიოს უნდა ჰქონდეს:

- შემოქმედებითი კონცეფცია, რომელიც აერთიანებს/კრავს ყველა ნამუშევარს. კონცეფცია სიღრმისეულად უნდა იყოს გააზრებული პორტფოლიოს პროექტის ხემდღვანელის დახმარებით.
- ის ასევე უნდა შეიცავდეს სტუდენტის შემოქმედებით/პროფესიულ ბიოგრაფიას.
- გამოყენებული უნდა იყოს ციფრული თხრობის ხერხები ჟურნალისტური ნამუშევრების ერთმანეთთან დასაკავშირებლად ლოგიკურად და კონცეპტუალურად.

პლათფორმების მაგალითები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია პორტფოლიოს ასაწყობად:

- <https://www.clippings.me/>
- <https://www.journoportfolio.com/>
- <https://www.squarespace.com/>
- <https://pressfolios.com/>
- <https://wordpress.com/>

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:** თითოეულ ნაშრომს აფასებს 3 შემფასებელი: მათ შორის ერთ-ერთი - სადიპლომოსამაგისტრო თემის ხელმძღვანელი. ნაშრომის პირველ შეფასებას აკეთებს სამაგისტრო



თემის ხელმძღვანელი. ხელმძღვანელის მიერ დადებითი შეფასების (51 ქულა და მეტი) მიცემის შემთხვევაში ნაშრომი შესაფასებლად გადაეცემა კიდევ ორ შემფასებელს. სამივე შემფასებლის მიერ დადებითი შეფასების მიცემის შემთხვევაში სტუდენტი დაიშვება ზეპირ პრეზენტაციაზე, რომელსაც დაესწრებიან იგივე შემფასებლები. ზეპირ პრეზენტაციაში მიღებული ქულები დაემატება წერილობით ნაშრომში მიღებულ ქულებს. საბოლოო ნიშანი მიიღება სამი სხვადასხვა შეფასების საშუალოს გამოთვლით. იმისათვის, რომ მოხდეს საბოლოო ნიშნის გამოთვლა, აუცილებელია ნაშრომის სამივე შეფასება იყოს დადებითი.

### **სამაგისტრო პროექტის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ქულების განაწილება**

1. პორტფოლიოს ვებ განზომილება - 30 %
2. ახალი (ან გაუმჯობესებული) ნამუშევარი (კომპონენტი) – 50 %
3. პრეზენტაცია - 10 %
4. აქტივობა/დედლაინები - 10 %

#### **1) პორტფოლიოს ვებ განზომილება (შინაარსობრივი, ვიზუალური, პროგრამული გადაწყვეტა) - 30 ქულა**

შეფასების კომპონენტის მიზანი:

ამ კომპონენტით მოწმდება ორი წლის მანძილზე სტუდენტის მიერ შექმნილი ნამუშევრების ერთობლიობა; ცალკეული ნამუშევრების ერთ მთლიანობაში (ვებ პლატფორმაზე) გაერთიანების უნარი, ერთმანეთთან ურთიერთკავშირისა და ლოგიკური ჯაჭვის აღმოაჩენის გზით. ასევე, პლატფორმის გამართული და გასაგები მუშაობის უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული პირობები: პროექტის ჩაბარებისთვის დაწესებული ვადების დაცვა. ამ კომპონენტის წინაპირობაა პროექტის წინა ეტაპებზე დროული და სიღრმისეული მუშაობა, მასალის მოძიება, სტრუქტურირება, აწყობა.

კომპონენტის სტრუქტურა: ვებ სივრცეში მასალების ატვირთვა და დამუშავება.

შეფასების ქულების განაწილება:

30-26 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლატფორმას აქვს ორიგინალური კონცეფცია. უნიკალურია თავისი მიგნებებითა და ხედვით. იდეალური დიზაინით. შინაარსობრივად, ვიზუალურად და პროგრამულად აბსოლუტურად გამართულია. შედგება მინიმუმ 5 კომპონენტისაგან (ნამუშევრისგან). ეფექტურად არის წარდგენილი ავტორიც.

25-21 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლატფორმას აქვს საინტერესო კონცეფცია, თუმცა არ გამოირჩევა განსაკუთრებული ორიგინალობით. შინაარსობრივად, ვიზუალურად და პროგრამულად

აბსოლუტურად გამართულია. შედგება მინიმუმ 5 კომპონენტისაგან (ნამუშევრისგან). ეფექტურად არის წარდგენილი ავტორიც.

20-16 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლათფორმას აქვს გარკვეული კონცეფცია, თუმცა არ გამოირჩევა განსაკუთრებული ორიგინალობით. შინაარსობრივად გამართულია, თუმცა არის პროგრამული ხარვეზები. ვიზუალური კონცეფცია არ არის კარგად გააზრებული. შედგება მინიმუმ 5 კომპონენტისაგან (ნამუშევრისგან). გვერდი შეიცავს ავტორის წარდგენას, თუმცა შემოიფარგლება სტანდარტული ბიოგრაფიით და არ იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, თუმცა იძლევა დეტალურ ინფორმაციას.

15-11 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლათფორმა მოიცავს ყველა აუცილებელ ნამუშევარს, რომელსაც აქვს გარკვეული შინაარსობრივი ლოგიკა, თანდართული ვიზუალური მასალით, თუმცა გვერდი არ არის გააზრებული ვიზუალურად და კონცეპტუალურად. ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირები არ არის კარგად გააზრებული. მასალების ლიდები არასრულყოფილია, ისევე როგორც ავტორის წარდგენა (საჭიროებს დამატებით ინფორმაციას). მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ხუთივე აუცილებელი კომპონენტი წარმოდგენილია ვებზე და ადვილად ხელმისაწვდომია.

10-6 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლათფორმა მოიცავს ყველა აუცილებელ ნამუშევარს, თუმცა მათ შორის არ არსებობს შინაარსობრივი და ვიზუალური ლოგიკა (ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირები არ არსებობს). მასალების ლიდები არასრულყოფილია, ისევე როგორც ავტორის წარდგენა (საჭიროებს დამატებით ინფორმაციას). მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ხუთივე აუცილებელი კომპონენტი წარმოდგენილია ვებზე, თუმცა არის პროგრამული ხარვეზებიც.

5-2 ქულა: სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ვებ პლათფორმაზე ნამუშევრები არასრულია (აკლია 1 ან 2 ნამუშევარი). მათ შორის არ არსებობს შინაარსობრივი და ვიზუალური ლოგიკა (ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირები არ არსებობს). მასალების ლიდები არასრულყოფილია, ისევე როგორც ავტორის წარდგენა (საჭიროებს დამატებით ინფორმაციას). არის პროგრამული ხარვეზებიც მასალის ხელმისაწვდომობის პროცესში.

1-0 ქულა: სტუდენტს მხოლოდ ცალკეული ნამუშევრები აქვს წარმოდგენილი სხვადასხვა პლათფორმაზე, ისიც არასრული სახით და არ აქვს შექმნილი არანაირი ვებ სივრცე /პლათფორმა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 6 ქულა

**2) ახალი კომპონენტი (რეპორტაჟი-ტექსტი; აუდიო; ვიდეო/დოკუმენტური, ფოტო-პროექტი, ბიზნეს გეგმა): - 50 ქულა**

შეფასების კომპონენტის მიზანი: ამ კომპონენტის მიზანია ახალი (ან გაუმჯობესებული) ნამუშევრის შექმნა რომელიმე ერთ ფორმატში (ტექსტი, ვიდეო, ფოტო, აუდიო, სტარტაპის ბიზნეს გეგმა)

განსაკუთრებული პირობები: სამაგისტრო პრაქტიკული კურსები (აუდიო, ფოტო, ვიდეო, რეპორტიინგი, მედია მენეჯმენტის პროექტის არჩევის შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტს გავლილი ჰქონდეს შემდეგი კურსები: მედია მენეჯმენტი, მედია მარკეტინგი და გაყიდვები, მედია მეწარმეობა

კომპონენტის სტრუქტურა:

- ტექსტი - 2000-3000 სიტყვა /სიღრმისეული რეპორტაჟი (10-12 წყარო - დოკუმენტების ჩათვლით);
- ვიდეო - 7-10 წთ სიღრმისეული რეპორტაჟი მწვავე მიმდინარე პრობლემაზე (ან 15-30 წთ. დოკუმენტური ფილმი განსაკუთრებული ვიზუალური და შემოქმედებით მიდგომით);
- აუდიო რეპორტაჟი - 7-10 წთ სიღრმისეული რეპორტაჟი მწვავე მიმდინარე პრობლემაზე;
- ფოტო პროექტი - 20-35 ფოტო, რომელიც ასახავს საინტერესო ისტორიას/პერსონაჟს/პრობლემას, მცირე ტექსტების თანხლებით;
- მედია მენეჯმენტის პროექტი - სტარტაპის ბიზნეს გეგმა - 3000-4000 სიტყვა.

შეფასების ქულების განაწილება (პრაქტიკული ჟურნალისტური ნამუშევარი):

50-43

სიღრმისეული აქტუალური რეპორტაჟი მწვავე საკითხზე, მკაფიოდ განსაზღვრული ფოკუსით, წარმოაჩენს უნიკალურ ისტორიას, გადამოწმებული ფაქტებითა და მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, სინტაქსურად და მორფოლოგიურად გამართული ტექსტი, ჟურნალისტური ეთიკისა და ბალანსის დაცვით. ტექნიკურად სრულყოფილი ვიდეო და აუდიო.

2000-3000 სიტყვა (სტატიის შემთხვევაში); 7-10 წუთი ვიდეო/აუდიოს შემთხვევაში; 20-30 ფოტო ანოტაციებით (ფოტო პროექტის შემთხვევაში). პროექტი წარმოდგენილი ყველა დედლაინის დაცვით.

42-35

სიღრმისეული აქტუალური რეპორტაჟი მწვავე საკითხზე, მკაფიოდ განსაზღვრული ფოკუსით, გადამოწმებული ფაქტებით, რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით. ტექსტში არის მცირე რაოდენობით გრამატიკული შეცდომები. ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და ბალანსი დაცულია. ვიდეო და აუდიოს შემთხვევაში არის მცირედი ტექნიკური ხარვეზები. მასალა აკმაყოფილებს პროფესიულ სტანდარტებს, თუმცა არ გამოირჩევა უნიკალურობითა და ორიგინალური კუთხით.

2000-3000 სიტყვა (სტატიის შემთხვევაში); 7-10 წუთი ვიდეო/აუდიოს შემთხვევაში; 20-30 ფოტო ანოტაციებით (ფოტო პროექტის შემთხვევაში). პროექტი წარმოდგენილი დედლაინის დაცვით.

35-27

სიღრმისეული აქტუალური რეპორტაჟი მწვავე საკითხზე, მეტ-ნაკლებად განსაზღვრული ფოკუსით, გადამოწმებული ფაქტებით, რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით. ტექსტში არის გრამატიკული შეცდომები. ჟურნალისტური ეთიკის ნორმები დაცულია. არის მასალის დაბალანსების პრობლემა, აკლია

მეორე მხარის პერსპექტივა. ვიდეო და აუდიოს შემთხვევაში არის ტექნიკური ხარვეზები. მასალა არ გამოირჩევა უნიკალური ისტორიითა და გაშუქების ორიგინალური კუთხით.

2000-3000 სიტყვა (სტატიის შემთხვევაში); 7-10 წუთი ვიდეო/აუდიოს შემთხვევაში; 20-30 ფოტო ანოტაციებით (ფოტო პროექტის შემთხვევაში). პროექტი წარმოდგენილია დედლაინის დაცვით.

26-19

რეპორტაჟს აკლია სიღრმე და აქტუალობა, მოითხოვს ფოკუსის დავიწროვებას. ეყრდნობა რამოდენიმე წყაროს, თუმცა რეპორტაჟში წარმოდგენილი წყაროები და მტკიცებულებები არ არის საკმარისი. ტექსტში არის გრამატიკული შეცდომები. ჟურნალისტური ეთიკის ნორმები დაცულია. არის მასალის დაბალანსების პრობლემა, აკლია მეორე მხარის პერსპექტივა. ვიდეო და აუდიოს შემთხვევაში არის სერიოზული ტექნიკური ხარვეზები. მასალა არ გამოირჩევა უნიკალური ისტორიითა და გაშუქების ორიგინალური კუთხით.

2000-3000 სიტყვა (სტატიის შემთხვევაში); 7-10 წუთი ვიდეო/აუდიოს შემთხვევაში; 20-30 ფოტო ანოტაციებით (ფოტო პროექტის შემთხვევაში). პროექტი წარმოდგენილია დედლაინის დაცვით.

18-11

რეპორტაჟში არის ფაქტობრივი უზუსტობები, არის ზედაპირული და ზოგადი, ფოკუსის გარეშე. მწირი წყაროებით, არ ჩანს საკითხის სიმწვავე. არის მიკერძოებული, დაუბალანსებელი. ვიდეო და აუდიოს შემთხვევაში არის სერიოზული ტექნიკური ხარვეზები. ტექსტი არის გაუმართავი, ბევრი გრამატიკული შეცდომებით.

სიტყვების რაოდენობა არ შეესაბამება მოთხოვნას (სტატიის შემთხვევაში); ვიდეო/აუდიოს ხანგრძლივობა (ფოტოების რაოდენობა) არ შეესაბამება მოთხოვნას (5 წუთზე ნაკლები). პროექტი წარმოდგენილია დედლაინის დარღვევით.

10-4

რეპორტაჟში არის ფაქტობრივი შეცდომები, არის ზედაპირული, გაუკვეველია მისი ფოკუსი, წყაროების სანდოობა დადასტურებული არ არის. მასალა არის მიკერძოებული, დაუბალანსებელი. ვიდეო და აუდიო არ შეესაბამება სტანდარტს. ტექსტი არის გაუმართავი, ბევრი გრამატიკული შეცდომით.

სიტყვების რაოდენობა - ვერ აღწევს 1000 (სტატიის შემთხვევაში); ვიდეო/აუდიოს ხანგრძლივობა (ფოტოების რაოდენობა) ასევე არ შეესაბამება მოთხოვნას (3 წუთზე ნაკლები). პროექტი წარმოდგენილია დედლაინის დარღვევით.

3-0

რეპორტაჟი წარმოდგენილი არ არის, მხოლოდ ცალკეული ელემენტები. მასალა არ შეიცავს არანაირ მნიშვნელოვან ინფორმაციას, გაუგებარია ისტორიის/პრობლემის არსი. დარღვეულია ყველა დედლაინი.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:

11 ქულა

### შეფასების ქულების განაწილება (მედია სტარტაპის ბიზნეს გეგმა):

50-43 სტუდენტმა წარმოადგინა სტარტაპის გამართული ბიზნეს გეგმა. ბიზნეს გეგმის ყველა კომპონენტი საფუძვლიანად არის განხილული, გააანალიზებული და დასაბუთებული. იდეა ინოვაციურია. სტუდენტი წარმოადგენს ჯეროვან წყაროებს საკუთარი გადაწყვეტილებების დასაბუთებლად. ნაშრომის სტრუქტურა გამართულია.

42-35 სტუდენტმა წარმოადგინა სტარტაპის გამართული ბიზნეს გეგმა. ბიზნეს გეგმის თითქმის ყველა კომპონენტი კარგად არის განხილული, გააანალიზებული და დასაბუთებული. იდეა საინტერესოა, თუმცა არაინოვაციური. სტუდენტი წარმოადგენს ჯეროვან წყაროებს საკუთარი გადაწყვეტილებების უმეტესობის დასაბუთებლად. ნაშრომის სტრუქტურა გამართულია.

35-27 სტუდენტმა წარმოადგინა ბიზნეს გეგმა. ბიზნეს გეგმის ძირითადი კომპონენტები განხილულია და გააანალიზებული. სტუდენტი წარმოადგენს წყაროებს საკუთარი გადაწყვეტილებების ძირითადი ნაწილის დასაბუთებლად. ნაშრომი სტრუქტურა მისაღებია.

26-19 სტუდენტის მიერ წარმოადგენილი ბიზნეს გეგმა მისაღებია, მაგრამ აკლია გარკვეული კომპონენტები, ანალიზი და ლოგიკური ბმები. სტუდენტი წარმოადგენს წყაროებს საკუთარი გადაწყვეტილებების მხოლოდ მცირე ნაწილის დასაბუთებლად. ნაშრომის სტრუქტურა სუსტია.

18 - 11 სტუდენტის მიერ წარმოადგენილ ბიზნეს გეგმას აკლია მთავარი კომპონენტები და მონაცემები. წყაროები არასაკმარისია ან არაადეკვატური. ნაშრომის სტრუქტურა ან არ იკვეთება ან ძალიან სუსტია.

10 - 4 სტუდენტი ვერ ახერხებს მისაღები ბიზნეს გეგმის წარმოდგენას. ნაშრომს აკლია მთავარი კომპონენტები, მონაცემები, ანალიზი, დისკუსია, დასაბუთება და ლოგიკური ბმა. წყაროები არასაკმარისია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. ნაშრომს არა აქვს სტრუქტურა.

3 - 0 სტუდენტი ვერ ახერხებს ბიზნეს გეგმის რომელიმე კომპონენტის წარმოდგენასაც კი. ნაშრომში არ არის მოცემული ანალიზი, რაიმე მონაცემი, დასაბუთება ან ლოგიკური ბმა. წყაროები არ არის წარმოდგენილი. ნაშრომს არა აქვს სტრუქტურა.

### **3) პრეზენტაცია - 10 ქულა**

შეფასების კომპონენტის მიზანი: პრეზენტაციის მიზანია სტუდენტმა ეფექტურად მოახდინოს მის მიერ გაწეული შრომისა და შექმნილი პორტფოლიოს პრეზენტაცია 10-15 წუთში. ამ ხნის განმავლობაში ნათელი უნდა გახდეს პორტფოლიოს კონცეფცია, მთავარი კომპონენტები და ძირითადი კომპონენტის არსი, მთავარი მიგნება, მნიშვნელობა. ვერბალური პრეზენტაციას თან უნდა ერთვოდეს ვიზუალური ნაწილი.

განსაკუთრებული პირობები: პრეზენტაციაზე გამოსასვლელად სტუდენტს უკვე უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ვებ სივრცეში შექმნილი პორტფოლიო.

კომპონენტის სტრუქტურა: ვებ გვერდი ან/და პრეზენტაცია რომელიმე საპრეზენტაციო პროგრამაში.

შეფასების ქულების განაწილება:

10-9 - პრეზენტაცია გამართულია როგორც ვერბალურად, ასევე ვიზუალურად. მასალა კარგად არის მოძიებულ- მომზადებული და პრეზენტაცია ფარავს როგორც მთლიანი პორტფოლიოს, ასევე ძირითადი კომპონენტის არსს. ნათლად წარმოაჩენს მთავარ მიგნებებს.

8-7 - პრეზენტაცია გამართულია ვიზუალურად, თუმცა არის მცირე ხარვეზები ვერბალურ პრეზენტაციაში. მასალა კარგად არის მოძიებულ- მომზადებული და პრეზენტაცია ფარავს როგორც მთლიანი პორტფოლიოს, ასევე ძირითადი კომპონენტის არსს. ნათლად წარმოაჩენს მთავარ მიგნებებს.

6-5 - პრეზენტაციას აქვს ვიზუალური ხარვეზები, ასევე სტუდენტს უჭირს მთავარი სათქმელის გამოხატვა შეკითხვების გარეშე. პრეზენტაცია ფარავს პორტფოლიოს გარკვეულ ნაწილს.

4-3 - მასალა არასრულადაა მოძიებული და პრეზენტაციას აკლია პროექტის მთავარი კომპონენტები, რის გამოც რთულია პროექტის არსის გაგება.

2 - მასალა არასრულია და პრეზენტაცია ვერ ახერხებს პორტფოლიოს კონცეფციის გადმოცემას.

1 - მასალა არაადეკვატურია და პრეზენტაცია ვერ ახერხებს პორტფოლიოს კონცეფციის გადმოცემას.

0 - სტუდენტს არ აქვს მომზადებული პრეზენტაცია

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:

3 ქულა

#### **4) აქტივობა და ვადების დაცვა - 10 ქულა**

შეფასების კომპონენტის მიზანი: ამ კომპონენტის მიზანია სტუდენტმა დედლაინების დაცვით და ხელმძღვანელის რჩევების გათვალისწინებით შეასრულოს სამუშაო ყველა ეტაპზე, რაც განაპირობებს პროექტის წარმატებით განხორციელებას.

განსაკუთრებული პირობები: ჟურნალისტური საქმიანობის პროცესში დედლაინების დაცვა აუცილებელი პირობაა, რის გამოც ამ ასპექტს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

შეფასების ქულების განაწილება:

10-9 ქულა: სტუდენტი აქტიურად არის ჩართული პროცესში, ასრულებს ყველა დავალებასა და მითითებას. შესრულებულ სამუშაოს და ფინალურ პროექტს წარმოადგენს ვადების დაცვით.

8-7 ქულა: სტუდენტი აქტიურად არის ჩართული პროცესში, ასრულებს ყველა დავალებასა და მითითებას. შესრულებულ სამუშაოს და ფინალურ პროექტს წარმოადგენს ძირითადად ვადების დაცვით, აქვს მხოლოდ ერთი-ორი გადაცდენა.

6-5 ქულა: სტუდენტი ჩართულია პროცესში, თუმცა ზოგიერთი დავალების შესრულებისას აქვს უზუსტობები და ვადის გადაცდენა.

4-3 ქულა: სტუდენტის ჩართულობა და ინიციატივა პროექტის მიმდინარეობის დროს დაბალია. ხშირია დადგენილი ვადების დარღვევა, თუმცა საბოლოო ჯამში ის მაინც ახერხებს პროექტის განხორციელებას. ხელმძღვანელის რჩევები გათვალისწინებულია მხოლოდ ნაწილობრივ, თუმცა მაინც აკმაყოფილებს მინიმალურ სტადარტს.

2-1 ქულა: სტუდენტის ჩართულობა და პასიხუსმგებლოვა არის ძალიან დაბალი. ის არ ასრულებს დაკისრებული ამოცანების უდიდეს ნაწილს. შესრულებული მინიმუმიც არის წარმოდგენილი დედლაინის ამოწურვის შემდგომ. არ ითვალისწინებს ხელმძღვანელის არცერთ რჩევას. ვერცერთ ეტაპზე პროექტის სხვადასხვა კომპონენტი ვერ პასუხობს მინიმალურ პროფესიულ სტანდარტს.

0 - სტუდენტი საერთოდ არ არის ჩართული პროცესში.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:

4-3 ქულა

## მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები

### სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსის/პროექტის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის პროსპექტუსის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. ტიტულის გვერდი;
- ბ. საავტორო უფლების გვერდი;
- გ. შინაარსი:
  - გ.ა. სამაგისტრო პროექტის ფარგლებში შექმნილი აპლიკაციის დეტალურად განხილვა;
  - გ.ბ. თემის აქტუალობა - დასაბუთება, თუ რატომ არის აღნიშნული აპლიკაცია საინტერესო;
  - გ.გ. ყველა იმ გამოწვევის ჩვენება, რომელიც ახლავს პროექტს;
  - გ.დ. პრობლემის დასმა, რომელსაც აპლიკაცია ჭრის;
  - გ.ე. დასმული პრობლემის გადაჭრის გზების ჩვენება;
  - გ.ვ. აპლიკაციის ფუნქციონირების პრინციპების ჩვენება;
  - გ.ზ. მომხმარებლის ინტერფეისის განხილვა;
  - გ.თ. ყველა იმ ტექნოლოგიის ვრცლად აღწერა, რომელიც გამოყენებულია აპლიკაციის შექმნის პროცესში;
  - გ.ი. ნაშრომის გრაფიკი;
  - გ.კ. წინასწარი ბიბლიოგრაფია.

### სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. სატიტულო გვერდი;
- ბ. რეზიუმე/აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე (80-150 სიტყვა);
- გ. სარჩევი;
- დ. ტერმინთა განმარტება; აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში);
- ე. ნაშრომის მიმოხილვა - ე.წ. „Executive Summary” - ” (400-450 სიტყვა - მაქსიმუმ 2 გვერდი);
  - ე.ა. აპლიკაციის ფუნქციონირება
  - ე.ბ. დასმული ამოცანის სრულყოფა
  - ე.გ. პროდუქტის გამართულობა
  - ე.დ. პროდუქტის სიმარტივე (მომხმარებლისათვის გაგებულობა)
  - ე.ვ. პროდუქტის საჭიროება და ბაზარზე მოთხოვნადობა
  - ე.ზ. მაღალი ხარისხის კოდის გამოყენება
  - ე.ი. პროგრამული ენისთვის დამახასიათებელი შეთანხმებების დაცულობა
  - ე.კ. აპლიკაციის აწყობისას დიზაინ-პატერნების გამოყენება



ე.ლ. აპლიკაციის ასაწყობად გამოყენებული ფუნქციები და ტექნოლოგიები:

- ASP.NET MVC
- JavaScript, HTML, CSS
- Android, Kotlin
- Unity 3D
- სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო პროგრამისგან განსხვავებული ტექნოლოგიები (ფასდება უფრო მაღალი შეფასებით)

ე.კ. დასკვნა;

ე.ლ. ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;

ე.მ. დანართები.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:** სამაგისტრო ნაშრომს აფასებს რეცენზენტი და კომისიის წევრები. ხვედრითი წონები გადანაწილებულია შემდეგნაირად - 50% რეცენზენტის შეფასება, 50% კომისიის წევრების საშუალო არითმეტიკული.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ფორმა:**

შეფასების კრიტერიუმი	შემფასებლის კომენტარი	ქულა
<p><b>ფუნქციური მრავალფეროვნება (20 %)</b></p> <p>აქტივობა სამუშაო პროცესში -10%</p> <p>შემოქმედებითი გადაწყვეტილება და კვლევის ხარისხი - 10%</p> <p>მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50%</p>		
<p><b>პრაქტიკული იმპლემენტაცია (60 %)</b></p> <p>შესრულების ტექნიკური ხარისხი - 30%</p> <p>გამოყენებული ტექნოლოგიების მრავალფეროვნება და გამოყენების ხარისხი - 30%</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კოდის ხარისხი</li> <li>• აპლიკაციის შექმნისას გამოყენებული ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი</li> <li>• კოდის დიზაინი</li> <li>• ფუნქციონალური მრავალფეროვნება</li> </ul>		

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50%		
<b>განხორციელება (20%)</b> შესრულება - 10% პრეზენტაცია - 10% <ul style="list-style-type: none"> <li>● სტრუქტურა და თანამიმდევრულობა</li> <li>● აზრის, ინფორმაციის გადმოცემის უნარი</li> </ul> მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50%		

**შეფასების ქულების განაწილება:**

**91-100 ქულა** - ნაშრომი სრულად პასუხობს პროექტით განსაზღვრულ ამოცანას. პროექტი ზედმიწევნით კარგად არის აღწერილი, აზრი კი გამართულად გადმოცემული. ასევე დამაჯერებელია ნაშრომის საჭიროებაც; სტუდენტი იყენებს კურსის განმავლობაში მიღებულ ცოდნას; სტუდენტს უწერია ძალიან მაღალი ხარისხის კოდი და კარგად აქვს ათვისებული გამოყენებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები. პროექტი ფუნქციონალურად მრავალფეროვანია. პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები და ავლენს იმპროვიზაციის უნარს

**81-90 ქულა** - ნაშრომი უმეტესად სრულად პასუხობს პროექტით განსაზღვრულ ამოცანას; პროექტი უმეტესად კარგად არის აღწერილი, აზრი კი გამართულად გადმოცემული; ასევე უმეტესად დამაჯერებელია ნაშრომის საჭიროებაც; სტუდენტი უმეტესად იყენებს კურსის განმავლობაში მიღებულ ცოდნას; სტუდენტს უწერია უმეტესად მაღალი ხარისხის კოდი და უმეტესად კარგად აქვს ათვისებული გამოყენებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები; პროექტი ფუნქციონალურად მრავალფეროვანია; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტს მოჰყავს არგუმენტირებული დასკვნები და უმეტეს შემთხვევაში ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**71-80 ქულა** - ნაშრომი ნაწილობრივ პასუხობს პროექტით განსაზღვრულ ამოცანას. პროექტი ნაწილობრივ კარგად არის აღწერილი, აზრი კი მეტნაკლებად გამართულად გადმოცემული; ნაწილობრივ დამაჯერებელია ნაშრომის საჭიროებაც; სტუდენტი მეტნაკლებად იყენებს კურსის განმავლობაში მიღებულ ცოდნას; სტუდენტს უწერია ნაწილობრივ ხარისხიანი კოდი და მეტნაკლებად კარგად აქვს ათვისებული გამოყენებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები; პროექტი

ფუნქციონალურად ნაწილობრივ მრავალფეროვანია. პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა; უმეტეს შემთხვევაში სტუდენტი ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**61-70 ქულა** - ნაშრომი მეტნაკლებად პასუხობს პროექტით განსაზღვრულ ამოცანას, თუმცა აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები; პროექტის აღწერა დარღვეულია, აზრი კი ფრაგმენტულად არის გადმოცემული; ნაწილობრივ დამაჯერებელია ნაშრომის საჭიროებაც; სტუდენტი სუსტად იყენებს კურსის განმავლობაში მიღებულ ცოდნას; სტუდენტს უწერია საშუალო ხარისხის კოდი და სუსტად აქვს ათვისებული გამოყენებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები; პროექტი ფუნქციონალურად არ არის მრავალფეროვანი; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა; სტუდენტი მეტნაკლებად ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**51-60%** - ნაშრომი პრაქტიკულად ვერ პასუხობს პროექტით განსაზღვრულ ამოცანას და აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები; პროექტის აღწერა დარღვეულია, აზრი კი ფრაგმენტულად არის გადმოცემული; ნაშრომის საჭიროება არ არის დამაჯერებელი; სტუდენტი სუსტად იყენებს კურსის განმავლობაში მიღებულ ცოდნას; სტუდენტს უწერია დაბალი ხარისხის კოდი და სუსტად აქვს ათვისებული გამოყენებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები; პროექტს არ აქვს გამართული ფუნქციონალი; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა; სტუდენტი მეტნაკლებად ავლენს იმპროვიზაციის უნარს;

**41-50 ქულა** - ნაშრომი ვერ პასუხობს პროექტით განსაზღვრულ ამოცანას; პროექტის აღწერა დარღვეულია, აზრი კი ბუნდოვნად არის გადმოცემული. ნაშრომის საჭიროება არ არის დამაჯერებელი; სტუდენტი ვერ იყენებს კურსის განმავლობაში მიღებულ ცოდნას; სტუდენტს უწერია დაბალი ხარისხის კოდი და არ აქვს ათვისებული გამოყენებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები. პროექტს არ აქვს გამართული ფუნქციონალი; პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიისას სტუდენტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტები სუსტი და არადამაჯერებელია/ არ ეყრდნობა რელევანტურ მონაცემებს; სტუდენტს არ გააჩნია იმპროვიზაციის უნარს;

**0-40 ქულა** - ნაშრომი არ არის წარმოდგენილი ან სრულიად შეუსაბამოა მოთხოვნებთან.